ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1930 წ. ივლისის 25. № 12 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

168. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 22[1], 177 მუხ., 235 მუხლის შენიშვნისა და 254[2] მუხლის შენიშვნის შეცვლისა და იმავე კოდექსის 47 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

169. სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

170. საქართველოს სსრ-ში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების წესის შესახებ.

171. „სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა შენაერთის დებულების 31 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

172. პერსონალური პენსიის დებულების 1-ლი მუხ. შეცვლის შესახებ.

173. „ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის დებულების“ მე-2 მუხ. შეცვლის შესახებ.

174. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 137 მუხლისათვის „ი“ პუნ. დამატების შესახებ.

175. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 421 მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატების შესახებ.

176. „ოთხფეხი საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნასყიდობის გარიგებათა სავალდებულო რეგისტრაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

177. ტყის დამზადებისა და ტყის ჩამოტივტივებისათვის შრომისა და ჭაპანზიდვის სასყიდლიანი ბეგარის დაწესების შესახებ.

178. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 58 მუხლის შეცვლის შესახებ.

179. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85 მუხლის შეცვლის შესახებ.

180. ზოორწმუნებულთა დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ზოორწმუნებულთა შესახებ.

181. სისხლის სამართლის კოდექსის 32 და 204 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

182. სასოფლო საბჭოებში და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებში სახელმძღვანელო სამუშაოზე გასაგზავნი ქალაქის საბჭოს წევრების შეღავათების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

183. პროლეტარული სტუდენტობის დახმარების სამდღიურის მოწყობის შესახებ.

184. ვინაობის მოწმობებისა, საწევრო ბილეთებისა და სხვა ამგვარი დოკუმენტების ფორმის შესახებ.

185. ამნისტიის შესახებ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გასაბჭოების ათი წლის აღსანიშნავად.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

186. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1930-31 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

187. დამატებითი საცხოვრებელი სივრცის უფლების თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის დეკემბრის 3-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

188. „1929-30 წელს მოუსავლიანობისაგან სოიას და კენაფის ნათესების სავალდებულო-საგადანაკვეთო დაზღვევის თაობაზე“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. მარტის 21-ის დადგენილების საქართველოს სსრ-ში განხორციელების წესის შესახებ.

189. სპეციალური ტეხნიკუმების კურსდამთავრებულ პირთათვის უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში შესასვლელად შეღავათების მინიჭების შესახებ.

190. არსენა ოძელაშვილის ძეგლის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება არსენა ოძელაშვილის ძეგლის კომიტეტის შესახებ.

191. სადამზღვევო გადასახადის იძულებით გადახდევინების წესისა და სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ქონების დაზღვევის სფეროში ცნობების შეუტყობინებლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

192. 1930 31 წელს პურეულის დამზადების კამპანიის სასაწყობო სადგომებით და ჭაპანზიდვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

168. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 22^1, 177 მუხ., 235 მუხლის შენიშვნისა და 254^2 მუხლის შენიშვნის შეცვლისა და იმავე კოდექსის 47 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

„საგლეხო მეურნეობებში აღძრული შრომის კონფლიქტების სამომრიგებლო და სასამართლო წესით განხილვის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 18-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 43) და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 22[1], 177 მუხ., 235 მუხლის შენიშვნა და 254[2] მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 22[1]. დაქირავებული შრომის გამოყენების ნიადაგზე აღძრულ შრომითს კონფლიქტს, რაც იმის გამო წარმოიშვა, რომ შესრულებული არ იყო შრომის კანონი, კოლექტიური და შრომის ხელშეკრულება და შინაგანწესრიგება, ან იმის გამო, რომ სისწორით არ იყო შეფარდებული გადასახდელთა ტაბულა, ყველა იმ შემთხვევაში: ა) როდესაც კონფლიქტი, რომლის განხილვაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში სავალდებულოა, არ იქნება გადაწყვეტილი ამ უკანასკნელის მიერ, ბ) როდესაც კონფლიქტის განხილვა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში სავალდებულო არ არის და მომუშავე სასამართლოს მიმართავს, აგრეთვე როდესაც სასამართლოს მიმართავს საგლეხო მეურნეობაში აღძრულ შრომის დაცვაში მონაწილე მხარე, ან და საზოგადო მწყემსსა და დამქირავებელს შორის აღძრულ შრომის დაცვაში მონაწილე მხარე; გ) როდესაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის ან სასოფლო საბჭოსთან თუ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნება ზედამხედველობის წესისამებრ; დ) როდესაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა, მომრიგებელი კამერისა, სამედიატორო სასამართლოს ან სასოფლო საბჭოსთან თუ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებაში ის თანხა, რაც მომუშავეს ან პროფესიონალურ კავშირს ერგება, ზედმიწევნით არ არის განსაზღვრული, განიხილავს სახალხო სასამართლოს შრომის საქმეთა სესია, ხოლო იქ, სადაც იგი არ არსებობს, სახალხო სასამართლო, სარჩელის თანხის მიუხედავად და იმის დამოუკიდებლად, თუ ვის წინააღმდეგ არის აღძრული სარჩელი“.

„**მუხ. 177**. ყველა გადაწყვეტილება გამოცხადებულ უნდა იქნეს სასამართლოში საქმის განხილვის დღეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, უკეთუ საქმის სირთულის გამო, გადაწყვეტილების დამზადება მოითხოვს დიდ ხანს ან წინასწარ მომზადებას, სასამართლოს შეუძლიან, განსაკუთრებული დადგენილებით, რაც საჯაროდ უნდა იქნეს გამოცხადებული, გადასდოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადება სამ დღეზე არა უმეტესი ვადით, ხოლო ყოველ შემთხვევაში, რეზოლიუცია გამოცხადებულ უნდა იქნეს იმავე დღეს“.

„**მუხ. 235. შენიშვნა.** არ შეიძლება განსაჩივრება და გაპროტესტება საკასაციო წესით შრომის საქმეთა სესიის ისეთი გადაწყვეტილებისა, რაც გამოტანილია: ა) ფულად სარჩელზე, უკეთუ სარჩელი დაკავშირებული არ არის მომუშავის დათხოვნასთან და სადავო თანხა არ აღემატება ოც მანეთს, როდესაც შრომის დავა აღძრულია საგლეხო მეურნეობაში, გარდა სამეწარმეო მეურნეობისა, ან საზოგადო მწყემსსა და დამქირავებელს შორის, და მომუშავის თვიურ საშოვარს ყველა სხვა შემთხვევაში; ბ) ისეთ საქმეზე, რაზედაც გადასახდელია დადებული ტაბულის მიხედვით, დათხოვნის შემთხვევის გარდა; არ შეიძლება აგრეთვე განსაჩივრება და გაპროტესტება საკასაციო წესით შრომის საქმეთა სესიის მიერ, საკასაციო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტანციის განმარტების შესაფერისად ხელმეორედ გამოტანილი გადაწყვეტილებისა“.

„მუხ. 254². შენიშვნა. შრომის სიქმეთა სესიის გადაწყვეტილების გაპროტესტება ზედამხედველობის წესით პროკურატურას შეუძლიან არა უგვიანეს ექვსი თვის ვადისა დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა შრომის დავაზე, რაც აღძრულია საგლეხო მეურნეობაში, გარდა სამეწარმეო მეურნეობისა, ან საზოგადო მწყემსსა და დამქირავებელს შორის, და არა უგვიანეს სამი თვის ვადისა—ყველა სხვა შრომის საქმეზე“.

II.

დაემატოს 47 მუხლს შენიშვნა მე-2 შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 47. შენიშვნა 2. უკეთუ არასამეწარმეო საგლეხო მეურნეობაში ან საზოგადო მწყემსსა და დამქირავებელს შორის აღძრული შრომის დავის განხილვის დროს სასამართლო გამოაშკარავებს დამქირავებლის მოქმედებაში, რომ იგი ბოროტი განზრახვით უჭერდა მომუშავეს მის ხვედრ თანხას ან აჭიანურებდა კონფლიქტს, სასამართლოს შეუძლიან გადასწყვიტოს კომპენსაცია დაკარგული დროის შესაფერისად, ხოლო ისეთი რაოდენობით, რაც არ აღემატება მომუშავის სამუშაო ხელფასს სათანადო დროისათვის“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 6.
ტფილისი—სასახლე.

---

169. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

(საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 100; 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 92; 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 145; 23 №-ი, მუხ. 288) 1 და 6 მუხ. მე-7 მუხლის მე-2 ნაწ., 13, 17, 22, 23 და 33 მუხლები შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

„**მუხ. 1.** საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატსა და მის თანაბარ ცენტრალურ დაწესებულებას, საოლქო, სამაზრო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და მის პრეზიდიუმსა, აგრეთვე საქალაქო საბჭოს და მის პრეზიდიუმს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და ამა დებულების თანახმად, გამოსცეს სათანადო ტერიტორიის ფარგლებში სავალდებულო დადგენილებანი“.

„**მუხ. 6.** საოლქო, სამაზრო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს, აგრეთვე საქალაქო საბჭოს და მის პრეზიდიუმს უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება:

ა) რევოლიუციონური წესრიგისა და უშიშროებისა, და აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვისათვის;

ბ) ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

გ) სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის;

დ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და გადამდებ და სოციალურ სნეულებასთან ბრძოლისათვის;

ე) საქონლის ჭირთან (ეპიზოოტიასთან) და მავნებლებთან ბრძოლისათვის;

ვ) თეატრებისა, კინოებისა, კლუბებისა, სათამაშოების დაწესებულებებისა და სხვ. გახსნისა და მოქმედების წესისათვის;

ზ) საზოგადო საყოველთაო სარგებლობის ადგილებში (სასადილოებში, რესტორანებში, ტრახტირებში, საჩაიებში, სასტუმროებში, ღამის გასათევ სახლებში, აბანოებში, საბანაოებში, საპარიკმახეროებში და სხვ.), საცხოვრებელ სადგომებში, ეზოებში და ქუჩებში სანიტარული პირობების დაცვისათვის, ხოლო ქალაქად, ამას გარდა, კიბეების განათებისათვის და სახლის ფასადზე სახლის ნომრების მოწყობისათვის და აგრეთვე სარდაფების გასაშრობად ღონისძიების მიღებისათვის;

თ) ისეთი შენობის ან მისი ცალკე ნაწილის შეკეთებისა, აღდგენისა ან დაცვისათვის, რომელიც შეიძლება ჩამოინგრეს, აგრეთვე სახურავებიდან თოვლის ჩამოხვეტისათვის;

ი) ქალაქებში ტროტუარებისა, მოკირწყლული ქუჩებისა, წყალსადენის ქსელისა და წყლის გასაშვები მილების შეკეთებისა და წესიერად შენახვისათვის, აგრეთვე ქალაქად და სოფლად წყალსათავსი აუზების სანიტარული დაცვისათვის;

კ) ტყეებისა, ნარგავებისა, მინდვრებისა და ნათესების დაცვისათვის მტაცებლობისა, განადგურებისა და საქონლის ძოვებით წახდენისა და გაფუჭებისაგან;

ლ) ვაჭრობის წარმოების დროისა და წესისათვის, იარმუკებსა, ბაზრებსა და სხვა სავაჭრო ადგილას წესრიგის დამყარებისათვის;

მ) გამვლელი ჯარების დაბინავებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ) ეტლებისა და ადგილობრივი ტრანსპორტის სხვა საშუალებათა ნიხრის დაწესებისათვის;

3) სხვა იმ საკითხებისათვის, რომლებისთვისაც სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლება მინიჭებული აქვთ კანონით".

(მე-6 მუხლის „ო" პუნქტი ამოიშალოს).

„**მუხ. 7. ნაწ. 2.** სახალხო კომისარიატისა და მასთან გათანაბრებული ცენტრალური დაწესებულების სავალდებულო დადგენილებანი, ხოლო საოლქო, სამაზრო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმისა და საქალაქო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილებათაგან ის სავალდებულო დადგენილებანი, რაც ეხება: 1) რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვისა (მე-6 მუხლის „ა" პუნქტის 1 ნაწ.), 2) სახალხო ჯანმრთელობის დაცვისა (მე-6 მუხ. „დ" პუნ.); 3) სანიტარიისა (მე-6 მუხ. „ზ" პუნქტის 1-ლი ნაწ., „ი" პუნქტის 2 ნაწ.) და 4) კეთილმოწყობის (მე-6 მუხ. „ზ" პუნქტის მე-2 ნაწ., „თ" პუნ., „ი" პუნქტის 1-ლი ნაწ.) საკითხებს, შეიძლება გამოიცეს ერთ წელიწადზე მეტი ვადითაც და იმოქმედოს გაუქმებამდე, რაც აღნიშნულ უნდა იქნეს თვით სავალდებულო დადგენილებაში".

„**მუხ. 13.** სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმისა და საქალაქო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მიერ გამოსაცემი სავალდებულო დადგენილება სამი დღის ვადაზე ხელისმოწერის შემდეგ უნდა გაეგზავნოს ცნობისათვის ზემდგომ აღმასრულებელ კომიტეტს და სათანადო პროკურორს, ხოლო საოლქო ქალაქის საქალაქო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილება, ამის გარდა, უნდა გაეგზავნოს ამა მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ დაწესებულებათ.

საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილება, აგრეთვე საოლქო ქალაქის საქალაქო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილება სამი დღის ვადაზე ხელის მოწერის შემდეგ უნდა გაეგზავნოს ცნობისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას და სათანადო პროკურორს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და მათთან გათანაბრებული ცენტრალური დაწესებულებების სავალდებულო დადგენილებანი, სამი დღის განმავლობაში ხელის მოწერიდან, უნდა გაეგზავნოს ცნობისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას და რესპუბლიკის პროკურორს".

„**მუხ. 17.** ადმინისტრატიული გადასახდელის უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება სავალდებულო დადგენილებით იქნეს დაწესებული, შემდეგია:

1. სახალხო კომისარიატისა და მასთან გათანაბრებული ცენტრალური დაწესებულების სავალდებულო დადგენილებისათვის:

ჯარიმა ას მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საოლქო აღმასრულებელი კომიტეტისა და საოლქო ქალაქისა და ქალაქ ფოთის საქალაქო საბჭოს და მათი პრეზიდიუმების სავალდებულო დადგენილებისათვის:

ა) ქალაქში ჩადენილი დარღვევისათვის—
ჯარიმა ას მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე;

ბ) სოფლად ჩადენილი დარღვევისათვის—
ჯარიმა ათ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ კვირამდე.

3. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილებისათვის, და აგრეთვე ქალ. ჭიათურისა, ხაშურისა, ბორჯომისა და სამტრედიის საქალაქო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილებისათვის:

ა) ქალაქში ჩადენილი დარღვევისათვის—
ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ორ კვირამდე;

ბ) სოფლად ჩადენილი დარღვევისათვის—
ჯარიმა ხუთ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ კვირამდე.

4. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილებისათვის—
ჯარიმა სამ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ხუთ დღემდე.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ ადმინისტრატიულ გადასახდელთა უმაღლესი ზომა არა ვრცელდება ისეთ სავალდებულო დადგენილებაზე, რომლის დარღვევისათვისაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სხვა რაიმე გადასახდელი. ასეთი შემთხვევისათვის სავალდებულო დადგენილებაში ზედმიწევნით აღნიშნულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლით გათვალისწინებული გადასახდელი".

„**მუხ. 22.** სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრატიულ გადასახდელს გადასწყვეტს:

ა) იმ დარღვევისათვის, რაც ჩადენილია საოლქო ან სამაზრო ქალაქის ფარგლებში—სათანადო საოლქო ან სამაზრო საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი, ხოლო იქ, სადაც ეს განყოფილება არ არსებობს—სათანადო მილიციის უფროსი;

ბ) იმ დარღვევისათვის, რაც ჩადენილია არასაოლქო და არასამაზრო, ხოლო საქალაქო საბჭოს მქონე ქალაქის ფარგლებში (ჭიათურა, ხაშური, ბორჯომი და სამტრედია),—საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი;

გ) იმ დარღვევისათვის, რაც ჩადენილია რაიონის ფარგლებში, „ა" და „ბ" პუნქტებში აღნიშნული ქალაქების გარდა,—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი".

„**მუხ. 23.** ისეთი ცალკეული სავალდებულო დადგენილებით, რომლითაც ადმინისტრატიულ გადასახდელად დაწესებულია ჯარიმა არა უმეტეს ათი მანეთისა ან იძულებითი მუშაობა ვადით არა უმეტეს ერთი კვირისა, ამ გადასახდელის გადაწყვეტის უფლება შეიძლება მიეცეს სარაიონო საადმინისტრაციო

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილების უფროსს, ხოლო რაიონებზე დაყოფილ ქალაქში—სარაიონო მილიციის უფროსს.

ისეთი ცალკეული სავალდებულო დადგენილებით, რომლითაც ადმინისტრატიულ გადასახდელად დაწესებულია ჯარიმა არა უმეტეს სამი მანეთისა ან იძულებითი მუშაობა არა უმეტეს ხუთი დღისა, უფლება ამ გადასახდელის გადაწყვეტისა სოფლად ჩადენილი დარღვევისათვის შეიძლება მიეცეს სასოფლო საბჭოს".

„**მუხ. 33.** საჩივარი ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილ დადგენილებაზე შეტანილ უნდა იქნეს:

აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმების დადგენილებაზე — ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში;

საადმინისტრაციო განყოფილების უფროსისა და მისი თანაბარი მილიციის უფროსის დადგენილებაზე—სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმებში;

საქალაქო სარაიონო მილიციის უფროსის დადგენილებაზე—სათანადო საადმინისტრაციო განყოფილების უფროსის სახელზე.

II.

მე-2 მუხლში და მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში ამოიშალოს სიტყვა „სამაზრო".

25 მუხლში, 27 მუხლის მე-2 ნაწილში და მე-40 მუხლის 1 ნაწილში სიტყვები „სათემო აღმასრულებელი კომიტეტი" შეიცვალოს სიტყვებად „სასოფლო საბჭო".

III.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ სათანადო დებულებებში ცვლილებანი ამა დადგენილების შესაბამისად; ამასთანავე სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისი დადგენილება დასამტკიცებლად წარუდგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მაგ. **ივანოვ-კავკაზსკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 21.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

170. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-ში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების წესის შესახებ.

რათა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უახლოესი წლების განმავლობაში განხორციელებულ იქნეს საყოველთაო სავალდებულო სწავლება და რათა სასკოლო დაწესებულებათა სისტემა და სოციალური აღზრდა შეთანხმებულ იქნეს მოსახლეობის მოთხოვნილებებთან და მის ნაციონალურ შედგენილობასთან, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. განსაზღვრულ ვადად მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებისათვის დაწესებულ იქნეს 1932-33 სასწავლო წელი ისე, რომ 1931-32 წლის დასასრულს დაწყებითი სწავლების სასკოლო ქსელი მზად იყოს, რათა მიიცვას მთლად სასკოლო ასაკის მოსახლეობა, რომელსაც სურს მიიღოს დაწყებითი განათლება, და რომ 1932-33 წლის დასაწყისს საყოველთაო სავალდებულო სწავლება შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

შენიშვნა 1. ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქს, საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს უფლება ეძლევათ, სასკოლო ქსელის განვითარების მიხედვით, აღძრან საკითხი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ 1-ლ მუხლში გათვალისწინებული ვადის გასვლამდეც.

შენიშვნა 2. საყოველთაო სავალდებულო სწავლება პირველ რიგში განხორციელებულ უნდა იქნეს ქალაქებსა, სამრეწველო რაიონებსა და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში.

2. შრომის სკოლის ნორმალურ ტიპად, სადაც პირველ რიგში განხორციელდება საყოველთაო სავალდებულო სწავლება, ჩაითვალოს სრულკომპლექტიანი ოთხწლედი, ხოლო დიდ ქალაქებსა, სამრეწველო ცენტრებსა, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებსა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის რაიონებში—შვიდწლედი. ამისდა მიხედვით, გაფართოებულ იქნეს საქარხნო-საფაბრიკო შვიდწლედებისა და კოლმეურნეობათა ახალგაზრდობის სკოლების ქსელი.

შენიშვნა 1. მცირედ დასახლებულ ადგილებში და საერთოდ მომთაბარეთა შორის სავალდებულო სწავლება განხორციელდება ორწლიან მოძრავ სკოლებში.

შენიშვნა 2. გონებრივად ჩამორჩენილ ბავშთათვის საგეგმო წესით გაიხსნება სპეციალური სკოლა-სახელოსნოები.

3. საყოველთაო სავალდებულო სწავლება უნდა გაიარონ 8, 9, 10 და 11 წლის ბავშვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დადგენილება იმის შესახებ, რომ ბავშვები ვალდებულ არიან იარონ პირველი საფეხურის სკოლებში, გამოიცემა საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს მიერ, და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების და ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, და ეს დადგენილება შეიძლება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ცალკეულ ოლქსა, მაზრასა, ქალაქსა, რაიონსა და სოფელში სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს წარდგენით.

შენიშვნა. ცალკეულ სოფლებში საკითხი იმის შესახებ, რომ ბავშვები ვალდებულ არიან იარონ პირველი საფეხურის სკოლაში, გადაწყდება საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

5. ზემოაღნიშნული დადგენილება იმის შესახებ, რომ ბავშვები ვალდებული არიან იარონ პირველი საფეხურის სკოლაში, შეიძლება გამოცემულ იქნეს მხოლოდ შემდეგი პირობების დაცვით:

ა) უკეთუ სასკოლო შენობებში ან სპეციალურად მოგვარებულ სასკოლო საოგომებში არის ადგილი სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისათვის; თანაც აღნიშნულ შენობებში მეცადინეობა შეიძლება სწარმოებდეს არა უმეტეს, ვიდრე ორ ცვლად;

ბ) უკეთუ ყველა სკოლა უზრუნველყოფილია მასწავლებელთა პერსონალით და თანაც დაცულია დაწესებული ნორმები თვითეული მასწავლებლის დატვირთვისა;

გ) უკეთუ მასწავლებელთა პერსონალს სასყიდელი ეძლევა არა ნაკლებ, ვიდრე იმ განაკვეთით, რაც კანონით დადგენილია;

დ) უკეთუ სკოლები უზრუნველყოფილი არიან სახსარით, რაც საჭიროა პირველი საფეხურის სკოლების სასწავლო და სამეურნეო შენახვის ხარჯისათვის;

ე) უკეთუ კოლმეურნეობების წევრთა და ღარიბთა შვილებს სასწავლო წიგნები და სახელმძღვანელოები უფასოდ ეძლევათ.

6. ბავშვთა სწავლების მოვალეობა დაეკისრება ყველა მოქალაქეს, ვის რჩენაზედაც ბავშვი იმყოფება და ვინც ცხოვრობს ისეთ ადგილას, რომელზედაც დადგენილების მოქმედება ვრცელდება.

შენიშვნა. უპატრონო ბავშვთა, სრულ ობოლთა და აგრეთვე ფიზიკურად დეფექტიან და გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა შორის სავალდებულო სწავლების განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

7. უკეთუ მშობელი და სხვა პირი, ვისაც თავის რჩენაზე ჰყავს ბავშვი, და აგრეთვე იმ დაწესებულების სათანადო თანამდებობის პირი, სადაც ბავშვებია, უარს იტყვის ბავშვების პირველი საფეხურის სკოლაში გაგზავნაზე იმ ადგილას, სადაც სავალდებულოდ არის შემოღებული, რომ ბავშვებმა პირველი საფეხურის სკოლაში იარონ,—მიიცემა პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით სავალდებულო დადგენილების თანახმად, რასაც საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტი ან საქალაქო საბჭო (მე-4 მუხ.) გამოსცემს „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების“ საფუძველზე.

8. წინა მუხლში გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან სათანადო პირი განთავისუფლდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) უკეთუ სკოლა, დროებით ადგილის უქონლობის გამო, უარს იტყვის ბავშვის მიღებაზე;

ბ) უკეთუ ბავშვი ავად არის და ამას დაადასტურებს ჯანმრთელობის კომისარიატის სათანადო ორგანო;

გ) უკეთუ სტიქიური რამ უბედურება მოხდა.

9. ცნობილ იქნეს, რომ ყველა სადგომი, რაც ამა დადგენილების გამოქვეყნების მომენტისათვის სასწავლებელს უჭირავს, განათლების სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაშია.

წინადადება მიეცეს საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს მიიღონ სათანადო ღონისძიება ამჟამად არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენებული სასკოლო შენობების განთავისუფლებისათვის, ხოლო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში იმ შენობების სასკოლო სადგომებად გამოყენებისათვის, რაც ჩამორთმეულია „მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმის განსამტკიცებლად კულაკების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის თებერვლის 1-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 105) წესისამებრ.

10. განათლების სახალხო კომისარიატს დაეკისრება:

ა) შეადგინოს პედაგოგიური პერსონალის მომზადების დაწვრილებითი გეგმა და აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა ჩამორჩენილ რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების გეგმა ამ რაიონებისათვის მასწავლებელთა სათანადო კადრის მომზადების გეგმითურთ;

ბ) გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელების წესისა და ვადების შესახებ.

შენიშვნა. ინსტრუქციას საფინანსო გეგმის შედგენის შესახებ განათლების სახალხო კომისარიატი შეუთანხმებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

11. სესხი სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტისა, მათი აღდგენისა და ახალი სასკოლო შენობების აგებისათვის ადგილობრივ ორგანოებს მიეცემა რესპუბლიკანური და ადგილობრივი სასკოლო-სამშენებლო ფონდიდან, რაც შეიქმნება, შეინახება და დაიხარჯება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე **ივანოვ-კავკაზსკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 21.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 134 №-ში 1930 წ. ივნისის 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

171. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა შენაერთის დებულების“ 31 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა შენაერთის დებულების“ 31 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 24 №-ი, მუხ. 304) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა შენაერთის განყოფილებებს შეუძლიანთ მოაწყონ ახალგაზრდობის სექციები, რომელნიც მოქმედობენ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული სპეციალური დებულების საფუძველზე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ივანოვ-კავკაზსკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 21.
ტფილისი—სასახლე.

---

172. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ. და ს.კ.ს.

პერსონალური პენსიის დებულების 1-ლი მუხ. შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

პერსონალური პენსიის დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 26 და მე-12 №-რი, მუხ. 103) 1-ლი მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. პერსონალური პენსია დაენიშნება იმ პირს, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის რევოლიუციონური, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, სამეურნეო ან კულტურული მოღვაწეობის დარგში, ან და სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაცვის საქმეში, აგრეთვე იმ პირს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინა კულაკობასთან ბრძოლაში და ამ ბრძოლის გამო დაშავდა“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ივანოვ-კავკაზსკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 21.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 140 №-ში 1930 წ. ივნისის 19.

---

173. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის დებულების“ მე-2 მუხ. შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 8-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-7 №-ი, მუხ. 93) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის დებულების“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 221) მე-2 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 2. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ისეთ კომუნალურ საწარმოში, სადაც ქალებიც მუშაობენ, საბავშვო ბაგებისა, ბაღებისა და ბავშვთა დაცვის სხვა დაწესებულების მოსაწყობად და შესანახად, მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან გამოყოფილ უნდა იქნეს სათანადო ფონდის საერთო თანხის 5-დან 10 პროცენტამდე—საწარმოში მომუშავე ქალთა რიცხვის ამავე საწარმოს მომუშავეთა საერთო რიცხვთან შეფარდების მიხედვით, სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობრ: ა) 5%, უკეთუ ქალთა რიცხვი 20%-მდეა; ბ) 8%, უკეთუ ქალთა რიცხვი 20%-ზე მეტია—50%-დე და გ) 10%, უკეთუ ქალთა რიცხვი 50%-ზე მეტია".

2. იმავე მე-2 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ივანოვ-კავკაზსკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 21.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 137 №-ში 1930 წ. ივნისის 14.

---

174. დადგენილება ც. ა. კ. და .ს კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 137 მუხლისათვის „ი" პუნ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 137 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 117) დაემატოს პუნქტი „ი" შემდეგი შინაარსისა:

„ი) სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და აგრეთვე ცოცხალი საწევი ძალით მომქმედი სამანქანო სადგურების (კოლონების) მიერ კოლექტიურ მეურნეობებთან და ღარიბ და საშუალო მეურნეობათა შენაერთებთან დადებული ისეთი გარიგება, რაც აუცილებლად რეგისტრირებულ უნდა იქნეს უფასოდ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საადგილმამულო განყოფილებაში".

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო სამართლის 137 მუხლის „ი" პუნქტი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ივანოვ-კავკაზსკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 21.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 126 №-ში 1930 წ. ივნისის 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

175. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 421 მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 421 მუხლს დაემატოს მე-3 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 3.** სიკვდილის საშემთხვეოდ განგარგულების მოხდენა კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორიც არის: სიკვდილის საშემთხვევოდ განკარგულების მოხდენა სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროებში, საკრედიტო-კოოპერატიულ, სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კოოპერატიულ ორგანიზაციებში შეტანილი ანაბარების შესახებ, ან საკრედიტო-დაწესებულებებში სახელმწიფო სესხთა თუ მთავრობის მიერ გარანტირებულ სესხთა ობლიგაციებად შეტანილი ანაბარების შესახებ და სხვ., შეიძლება აგრეთვე განსაკუთრებული წესით, ამასთანავე, როგორც 418 მუხლში აღნიშნულ პირთა სასარგებლოდ, ისე სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა სასარგებლოდ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ივანოვ-კავკაზსკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 21.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 145 №-ში 1930 წ. ივნისის 25.

---

176. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„ოთხფეხი საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნასყიდობის გარიგებათა სავალდებულო რეგისტრაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 28-ის დადგენილება „ოთხფეხი საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნასყიდობის გარიგებათა სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ“ (კან. კრ. 1930 წ. მე-3 №-ი, მუხ. 35) გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ივანოვ-კავკაზსკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 21.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 140 №-ში 1930 წ. ივნისის 19.

---

177. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ტყის დამზადებისა და ტყის ჩამოტივტივებისათვის შრომისა და ჭაპანზიდვის სასყიდლიანი ბეგარის დაწესების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს სასოფლო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ისეთ შემთხვევაში, როდესაც უკვე გამოყენებულია ყველა სხვა საშუალება ტყის დამზადებისა და ტყის ჩამოტივტივების საქმის მუშა-ძალით და ჭაპანზიდვის ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად,—შემოიღონ, ტყის დამმზადებელი და ტყის ჩამომტივტივებელი ორგანიზაციების შუამდგომლობით და საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში, შრომისა და ჭაპანზიდვის სასყიდლიანი ბეგარა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტყის დასამზადებლად და დამზადებელი ტყის ჩამოსატივტივებლად.

2. 1-ლი მუხლის წესისამებრ შრომის ბეგარაზე გაწვეულ პირებს შრომის სასყიდელი მიეცემათ იმ მტკიცე შეფასებით, რასაც დააწესებს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით; ხოლო სატრანსპორტო და საჭაპანზიდვო საშუალებათა სასყიდელი გაიღება იმ შეფასებით, რასაც დაამტკიცებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული (საქართველოს სსრ-ში) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს აფაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **ვ. ივანოვ-კავკაზსკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 21.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 127 № ში 1930 წ. ივნისის 3.

---

178. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდესის 58 მუხლის შეცვლის შესახებ.

„შეუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით ვადების გამოანგარიშების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 6 ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-5 №-ი, მუხ. 51) და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 58 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„58. როდესაც ვადა უნდა გათავდეს ერთ-ერთ შემდეგ რევოლიუციონურ დღეს: ნოემბრის 7-სა და 8-ს, იანვრის 22-ს, მაისის 1-სა და 2-ს,—ვადის უკანასკნელ დღედ ჩაითვლება პირველი შემდგომი საქმის დღე.

იმ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, რომელიც შეუწყვეტელ საწარმოო კვირაზე არ გადასულა, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეს შეუძლიან თავისი მოვალეობა შეასრულოს ან თავისი უფლება გამოიყენოს უახლოეს საქმის დღეს კანონით დაწესებული ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის შემდეგ, უკეთუ ეს ვადა თავდება რევოლიუციონურ დღეს, დასვენების განსაკუთრებულ დღეს და ყოველკვირეული დასვენების დღეს.

შენიშვნა. ამა მუხლის წესები შეეფარდება ზემოაღნიშნულ დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ, უკეთუ წარადგენენ ცნობას, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი არ გადასულან შეუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. ცნობას ხელი უნდა მოაწეროს უწყებული დაწესებულებისა, საწარმოს ან ორგანიზაციის პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. ივანოვ-კავკაზსკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 21.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 166 №-ში 1930 წ. ივლისის 17-ს.

---

179. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85 მუხლის შეცვლის შესახებ.

„შეუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით ვადების გამოანგარიშების შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 6-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-5 №-ი, მუხ. 51) და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„85. როდესაც ვადა უნდა გათავდეს ერთ-ერთ შემდეგ რევოლიუციონურ დღეს: ნოემბრის 7-სა და 8-ს, იანვრის 22-ს, მაისის 1-სა და 2-ს,—ვადის უკანასკნელ დღედ ჩაითვლება პირველი შემდგომი საქმის დღე.

იმ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, რომელიც შეუწყვეტელ საწარმოო კვირაზე არ გადასულა, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეს შეუძლიან თავისი მოვალეობა შეასრულოს ან თავისი უფლება გამოიყენოს უახლოეს საქმის დღეს კანონით დაწესებული ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის შემდეგ, უკეთუ ეს ვადა თავდება რევოლიუციონურ დღეს, დასვენების განსაკუთრებულ დღეს და ყოველკვირეული დასვენების დღეს.

შენიშვნა. ამა მუხლის წესები შეეფარდება ზემოაღნიშნულ დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ, უკეთუ წარადგენენ ცნობას, რომ ისინი არ გადასულან შეუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. ცნობას ხელი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწეროს უწყებული დაწესებულებისა, საწარმოს ან ორგანიზაციის პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ივანოვ-კავკაზსკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 21.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 141 №-ში 1930 წ. ივნისის 20.

---

180. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ზოორწმუნებულთა დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ზოორწმუნებულთა შესახებ.
2. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დებულებანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ივნისის 4.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ზოორწმუნებულთა შესახებ.

რათა გლეხთა ღარიბი და საშუალო ფენები ჩაებნენ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის წარმატებისათვის და სათანადო დონეზე დაყენებისათვის წარმოებულ მუშაობაში და რათა განხორციელებულ იქნეს საზოგადოებრივი კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროლი იმისათვის, რომ ცალკეულმა მეურნეობებმა ჩაატარონ ის გაუმჯობესებანი, რაც შესრულებულ უნდა იქნეს მეცხოველეობის სფეროში კონტრაქტაციის ხელშეკრულებების წესით, აგრეთვე რათა მეთვალყურეობა გაეწიოს აღნიშნულ მეურნეობათ სავალდებულო ზოომინიმუმის შესრულების საქმეში—არსდება ზოორწმუნებულთა ინსტიტუტი შემდეგ საფუძველზე:

1. თვითეული სოფელი, კოლექტიური მეურნეობა, კოოპერატიული შენაერთი და სასოფლო ამხანაგობა ირჩევს ზოორწმუნებულთ.

შენიშვნა. იმ რაიონში, სადაც მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის მეორეხარისხოვანი დარგია, ამომრჩევლებს შეუძლიანთ ზოორწმუნებულთა მოვალეობანი დააკისრონ აგროორწმუნებულთ.

2. ზოორწმუნებულად აირჩევა კოლმეურნეთა, კომკავშირისა, მოჯამაგირეთა, დელეგატ-ქალთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივიდან ისეთი პირი, რომელსაც აქვს ავტორიტეტი გლეხთა შორის და რომელმაც იცის მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საქმე.

3. ზოორწმუნებულთა არჩევაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის პირნი, ვისაც საარჩევნო უფლება აქვთ.

4. ზოორწმუნებულნი აირჩევიან ერთი წლის ვადით; ამასთანავე, ამომრჩევლებს უფლება აქვთ ვადამდე უკან გაიწვიონ ისინი უმოქმედობისათვის. ზოორწმუნებულთ დაამტკიცებს სასოფლო საბჭო.

5. ზოორწმუნებულნი აირჩევიან სოფლის საერთო კრებაზე ისეთი ვარაუდით, რომ 100 კომლზე მოდიოდეს ერთი ზოორწმუნებული; ხოლო იმ სოფელში, სადაც 100 კომლზე ნაკლებია, აირჩევა ერთი ზოორწმუნებული.

შენიშვნა. კოლექტიურ მეურნეობებში, კოოპერატიულ შენაერთებში და სასოფლო ამხანაგობებში ზოორწმუნებულნი აირჩევიან სათანადო შენაერთის წევრთა საერთო კრებაზე.

6. ზოორწმუნებულნი მუშაობენ სასოფლო საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის უშუალო ხელმძღვანელობით და ადგილობრივი აგრონომის მეთვალყურეობით. ანგარიშს თავისი მოქმედებისათვის ზოორწმუნებულნი წარუდგენენ სასოფლო საბჭოს და თავიანთ ამომრჩევლებს.

შენიშვნა. სასოფლო საბჭოს უფლება აქვს ყოველ წამს მოსთხოვს ზოორწმუნებულს მის მიერ წარმოებული მუშაობის ანგარიში, ხოლო თავის ამომრჩევლებს ზოორწმუნებული ანგარიშს წარუდგენს წელიწადში ორჯერ მაინც.

7. ზოორწმუნებულთ დაეკისრებათ:

ა) მეთვალყურეობა იქონიონ, რათა ცალკეულმა მეურნეობებმა და მათმა შენაერთებმა განახორციელონ სავალდებულო ზოომინიმუმი და ხელისუფლების ყველა დადგენილება, რაც ძიმართულია მეცხოველეობის გაუმჯობესებისათვის;

ბ) მოახდინონ გლეხთა ღარიბ და საშუალო ფენების ორგანიზაცია იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რაც ხელს შეუწყობს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გაუმჯობესებას და სათანადო დონეზე დაყენებას.

8. უკეთუ მეურნეობანი ან მათი შენაერთნი სათანადოდ არ შეასრულებენ ზოომინიმუმსა და სხვა დადგენილებებს, ზოორწმუნებულნი მისცემენ მათ შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამის დირექტივებს იმ ინსტრუქციების მიხედვით, რაც მათ მიღებული ექნებათ ადგილობრივი საადგილმამულო განყოფილებისაგან.

უკეთუ ცალკეული მეურნეობანი ან მათი შენაერთნი არ შეასრულებენ ზოომინიმუმს ან მეცხოველეობის გაუმჯობესების მიზნით გამოცემულ დადგენილებებს, ზოორწმუნებულნი აცნობებენ ამას სასოფლო საბჭოს და აგრონომს, რომელნიც მიიღებენ სათანადო ღონისძიებას შემჩნეული ნაკლის თავიდან ასაცილებლად.

9. ზოორწმუნებულნი შედიან სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირში ამ თათბირის წევრთა უფლებით.

10. ადგილობრივ აგრონომებსა და ვეტერინარებს დაევალებათ ხელმძღვანელობა და ინსტრუქტირება გაუწიონ ზოორწმუნებულთ და დაეხმარნენ მათ საყოველთაო პრაქტიკულ მუშაობაში.

11. ზოორწმუნებულნი იღებენ მათი ამომრჩევი ორგანიზაციების ხაზით გაზეთ „კოლექტივიზაცია“-ს და ისეთ ბროშურებს, რასაც მნიშვნელობა აქვს მათი მუშაობისათვის.

12. ზოორწმუნებულნი მუშაობენ საზოგადოებრივი დატვირთვის წესით და შრომისათვის გასამრჯელოს არ აღებენ.

იმ ზოორწმუნებულთ, რომელნიც გამოიჩენენ განსაკუთრებულ აქტივობას, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების საქმეში, შეიძლება მიენიჭოთ, სასოფლო საბჭოს დადგენილებით, შემდეგი შეღავათი და უპირატესობა: 1) შეღავათი და უპირატესობა, რაც ხელს შეუწყობს მისი მეურნეობის განვითარებას, როგორიც არის: პირველ რიგში მიღება: ჯიშიანი თესლისა, შეღავათიანი კრედიტისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანისა და, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ფულადი დახმარებისა საპრემიო ფონდიდან საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების შესაბამისად; 2) განთავისუფლება საზოგადოებრივი ბეგარისაგან; 3) მივლინება სასოფლო-სამეურნეო კურსებზე და საწარმოო ექსკურსიებზე; 4) დაწინაურება საბჭოთა, საკოლმეურნეო-კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ სამუშაოზე დასანიშნავად; 5) მივლინება მუშათა ფაკულტეტზე და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 139 №-ში 1930 წ. ივნისის 18.

---

181. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 32 და 204 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართლის კოდექსის 32 და 204 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„32. უკეთუ უფლება-აყრილ პირს აქვს რაიმე წარჩინების ნიშანი, რაც მას მიეცა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, სასამართლომ უნდა სთხოვოს, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მეშვეობით სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ამ წარჩინების ნიშნის ჩამორთმევა.

წარჩინების სხვა ნიშანი ჩამოირთმევა სასამართლოს დადგენილებით".

„204. სსრკ-ისა, მოკავშირე რესპუბლიკისა, ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ორდენისა, აგრეთვე წითელი ჯვრის ან წითელი ნახევარმთვარის ნიშნის ტარება იმ პირის მიერ, რომელსაც ამის უფლება არა აქვს, გამოიწვევს ჯარიმას ან მანეთამდე ორდენის კონფისკაციით და საზოგადოებრივი გაკიცხვით".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ივნისის 4.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 150 №-ში 1930 წ. ივნისის 30.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

182. დადგენილება ც. ა. კ.

სასოფლო საბჭოებში და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებში სახელმძღვანელო სამუშაოზე გასაგზავნი ქალაქის საბჭოს წევრების შელავათების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ქალაქის საბჭოების წევრებს, რომლებიც გაიგზავნებიან სახელმძღვანელო სამუშაოზე სასოფლო საბჭოებში და სარაიონო აღმასრულებელ კომიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებში, საგზაო ხარჯები და ქონების გადაზიდვის ღირებულება, აგრეთვე დღეგრები და ერთდროული დახმარება მიეცემათ იმ მუშების თანაბრად, რომლებიც დამქირავებლის განკარგულებით გადაყვანილი იქნებიან სხვა სამუშაო ადგილზე (შრომის კანონთა კოდექსი, მ. 82[1]).

აქ აღნიშნული საგზაო ხარჯები და ქონების გადაზიდვის ღირებულება უნდა დაიფაროს იმ ოლქის და მაზრის ბიუჯეტის სახსრებიდან, რომლის ტერიტორიაზედაც ქალაქის საბჭოს წევრი იმუშავებს.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ქალაქის საბჭოს წევრები ახალ სამუშაოზე გადასვლის შემდეგ ღებულობენ დაწესებულ ხელფასს შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით. ამასთანავე, თუ წინანდელ წარმოებაში არსებული ხელფასი მეტია იმ ხელფასზე, რომელიც ეძლევათ ქალაქის საბჭოს წევრებს ახალ თანამდებობაზე, მათ მიეცემათ განსხვავება წინანდელსა და ახალ ხელფასს შორის. ხელფასის ეს განსხვავება დაიფარება საერთო საკავშირო ბიუჯეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ბიუჯეტის სახსრებიდან.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ერთი კვირის განმავლობაში ამ დადგენილების გამოცემის დღიდან მე-2 მუხლში აღნიშნული თანხების სასოფლო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის თავის დროზე მიწოდების წესი.

4. სოფელში სამუშაოდ გაგზავნილ ქალაქის საბჭოს წევრებს მიეცემათ შემდეგი შეღავათები:

ა) უკეთუ სოფლად მუშაობის შემდეგ ისინი დაბრუნდებიან წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე, მათ უფლება აქვთ დაუყოვნებლივ შევიდნენ წინანდელ სამუშაოზე, საწარმოში და დაწესებულებაში და რიგს გარეშე მიიღონ ადგილობრივი საბჭოსაგან საცხოვრებელი სივრცე თავისთვის და ოჯახის წევრებისათვის;

ბ) მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე დარჩებიან, უფლება აქვთ აღრიცხულ იქნენ შრომის ბირჟაზე და პირველ რიგში გაიგზავნონ სამუშაოზე;

გ) წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე დარჩენილ ოჯახის წევრებს შეენახებათ საცხოვრებელი სივრცე წინანდელი რაოდენობით, სამომხმარებლო საგნების მიღების უფლება იმავე ნორმებით და ყველა შეღავათი, რაც გამომდინარეობს საწარმოსა და დაწესებულებაში მომქმედი კოლექტიური ხელშეკრულებიდან;

დ) მათი შვილები რიგს გარეშე მიიღებიან სასწავლებლებში და უპირატესი უფლება აქვთ სტიპენდიის მიღებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 18.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

183. დადგენილება ც. ა. კ.

პროლეტარული სტუდენტობის დახმარების სამდღიურის მოწყობის შესახებ.

საქართველოს პროლეტარული სტუდენტობის მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და მისი მდგომარეობის შემსუმბუქების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილ განსაკუთრებულ კომიტეტს მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე პროლეტარული სტუდენტობის დახმარების სამდღიური 1930 წლის მაისის 23, 24 და 25 ამ დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე.

2. აღნიშნული ვადის (მაისის 23—25) განმავლობაში ნება დაერთოს:

ა) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

ბ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგომები, აგრეთვე რადიო გადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს სამდღიურის განმავლობაში დაბეგვრის სახით პროლეტარული სტუდენტობის სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ სანახაობაში (თეატრი, კინო, კონცერტი, ცირკი, საბილიარდო) შემსვლელებზე ბილეთის 10% რაოდენობით.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს იმ გამოსაღების გარეშე, რაც საამისოდ დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით.

4. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს ამ მიზნისთვის მოწყობილი სამდღიურის ჩამტარებელი განსაკუთრებელი მთავარი რეს-პუბლიკანური კომიტეტი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 18.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 116 №-ში 1930 წ. მაისის 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

184. დადგენილება ც. ა. კ.

ვინაობის მოწმობებისა, საწევრო ბილეთებისა და სხვა ამგვარი დოკუმენტების ფორმის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აეკრძალოს სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ვინაობის მოწმობისა, მუდმივი მანდატისა, საწევრო ბილეთისა და სხვა ამგვარი დოკუმენტის ისეთი წიგნაკის სახით გაცემა, რაც თავისი გარეგანი ფორმით ემსგავსება იმ მოწმობებს, რომლებიც ეძლევათ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს და სახალხო კომისართა საბჭოს წევრებს.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დოკუმენტები გაიცემა მხოლოდ ისეთი ფორმით, რაც დამტკიცებულია საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების საადმინისტრაციო განყოფილებების მიერ (იქ, სადაც ეს განყოფილებანი არ არის მოწყობილი—მილიციის სათანადო სამმართველოს მიერ) დოკუმენტის გამცემი დაწესებულებებისა თუ ორგანიზაციის საბჭოფელი ადგილის მიხედვით.

3. ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე გაცემული ყველა მოწმობა, საწევრო ბილეთი და სხვა ამგვარი დოკუმენტი ერთი თვის განმავლობაში შეცვლილ უნდა იქნეს ახალი დოკუმენტით მე-2 მუხლით დადგენილი წესის დაცვით.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი პასუხს აგებს სადისციპლინო წესით.

5. მეთვალყურეობის გაწევა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისრება მილიციის ორგანოებს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 26.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 124 №-ში 1930 წ. მაისის 30.

---

185. დადგენილება ც. ა. კ.

ამნისტიის შესახებ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გასაბჭოების ათი წლის აღსანიშნავად.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გასაბჭოების ათი წლის აღსანიშნავად და იმ პირთა განსაზღვრული კატეგორიების ხვედრის შესამსუბუქებლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული 1930 წლის ივნისის 8-მდე, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ის მშრომელნი, რომელთაც სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მიერ პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ამიანად, განთავისუფლებულ იქნენ სოციალური დაცვის როგორც ძირითადი ღონისძიების—თავისუფლების აღკვეთის, ისე განაჩენთან დაკავშირებული სხვა დამატებითი ღონისძიების მოხდისაგან.

2. გაუნახევრდეთ სოციალური დაცვის ღონისძიება იმ მშრომელთ, რომელთაც სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მიერ პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ამიანად.

3. ყველა დანარჩენ მოქალაქეთ, რომელთაც სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მიერ პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ამიანად, სოციალური დაცვის ღონისძიება შეუმცირდეთ ერთი მესამედით.

4. განთავისუფლებულ იქნეს იძულებითი მუშაობისაგან ყველა მოქალაქე, რომელსაც სოციალური დაცვის ეს ღონისძიება მისჯილი აქვს ადმინისტრატიული თუ სასამართლო წესით სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრატიული ან სასამართლო დაწესებულების მიერ.

5. მოეხსნათ მშრომელთ სასამართლო თუ ადმინისტრატიული წესით დადებული და გადაუხდევინებელი ჯარიმა 50 მანეთამდე ამიანად.

6. მოსპობილ იქნეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოებისა და საგამომძიებლო და ადმინისტრატიული ორგანოების წარმოებაში ქონებული საქმეები იმ დანაშაულის შესახებ, რომლისთვისაც საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსით ან სხვა კანონებით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა ვადით ერთ წლამდე, უკეთუ დანაშაული ჩადენილია მშრომელის მიერ და თანაც პირველად, და აგრეთვე საქმეები მშრომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ჯარიმა არა უმეტეს 50 მანეთისა.

შენიშვნა. ამა მუხლის წესი არ გავრცელდება იმ თანხაზე, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს დანაშაულებრივი ქმედობით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

7. მოეხსნათ მშრომელთ დადებული პირობითი მსჯავრი.

8. მოეხსნათ უფლების ყოველგვარი აყრა იმ მშრომელთ, რომელნიც პირველად იქნენ მსჯავრდადებული, უკეთუ მათ მოიხადეს სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიება ან უკეთუ ვადამდე განთავისუფლებულ იქნენ.

9. მოეხსნათ მსჯავრდადებულობა იმ მშრომელთ, რომელთაც მსჯავრი პირველად დაედოთ და ამა დადგენილების გამოცემის დღისათვის მოიხადეს სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიება, ან განთავისუფლებულ იქნენ ვადამდე, ან და გადაეწყვიტათ პირობითი მსჯავრი ან იძულებითი მუშაობა.

10. ეს დადგენილება შეფარდებულ იქნეს აგრეთვე ამა დადგენილების გამოცემამდე ჩადენილი დანაშაულის საქმეების მიმართ, რომელთა შესახებაც განაჩენი ჯერ კიდევ გამოტანილი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ამა დადგენილებაში აღნიშნული შეღავათები არ გავრცელდება იმ პოლიტიკური პარტიების აქტიურ წევრებზე, რომელნიც ისწრაფვიან დაამხონ, ძირი გამოუთხარონ ან შეასუსტონ საბჭოების ხელისუფლება, სახელმწიფო დანაშაულისა და შეიარაღებული ყაჩაღობის ორგანიზატორებზე და ხელმძღვანელებზე, იმ პირებზე, ვინც მკვლელობა ჩაიდინა სისხლის აღების ადათით ან ვინც მოჰკლა ქალი მონობისაგან განთავისუფლების ნიადაგზე, აგრეთვე ბოროტმექრთამეზე და ბოროტ გამფლანგველზე.

12. ამა დადგენილების განხორციელება დაეკისრება სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარ სასამართლოს და პროკურორს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალული
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ივნისის 4.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 132 №-ში 1930 წ. ივნისის 8.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

186. დადგენილება ს. კ. ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1930-31 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული 1930 წ. მარტის 16-ის დადგენილებაში (კან. კრ. 1930 წ. მე-5 № ი, მუხ. 55; გაზ. „კომუნისტის“ 83 №-ი 1930 წლისა) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

I.

აღნიშნული დადგენილების 24 მუხლი, 25 მუხლის „ბ“ პუნქტი და 50, 54[1] და 54[2] მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„24. იმ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ არ მომხდარა კულაკურ მეურნეობათა ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის წესით, ეს მეურნეობანი დაიბეგრებიან ინდივიდუალური წესით მათი ნამდვილი შემოსავლიანობის მიხედვით და არა ნორმების მიხედვით. ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მეურნეობათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მთლად საქართველოს სსრ-ში დასაბეგრავ საგლეხო მეურნეობათა საერთო რიცხვის 3 პროცენტს".

„25 მუხ. „გ" პუნ. უკეთუ მეურნეობას აქვს წისქვილი, ყველ-კარაქის ქარხანა, ბურღულის საცეხვი საწარმო, ფეტვის სეცეხვი საწარმო, საჩეჩელი და საპენტი საწარმო, სასრესი ქარხანა, კარტოფილის საწარმო, ხილის ან ბოსტნეულის სახმობი, სანაყავი საწარმო, ნორმეული ქარხანა ან სხვა რამ სამრეწველო საწარმო და უკეთუ ყველა ამ საწარმოში გამოიყენება მექანიკური ძრავი ან წყლის თუ ქარის ძალა, თანაც უკეთუ წისქვილის წლიური შემოსავალი მეურნეობაში აღემატება 8 ცენტნერ (50 ფუთ) მარცვლეულს, ხოლო სხვა ზემოაღნიშნულ საწარმოთა წლიური შემოსავალი მეურნეობაში აღემატება 125 მან.".

„50. წეკოს ყველა ნათესი დაიბეგრება მემინდვრეობის შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით.

(ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებულების 55 მუხლი)".

„54[1]. 1930-1931 და 1931-32 საგადასახადო წლებში კოლექტიურ მეურნეობებში დაბეგვრისაგან განთავისუფლდება მთლად განსაზოგადოებული მუშა-საქონელი.

(ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებ-ის 58[1] მუხლი და სსრკ-ის ცენტრ. აღმასრ. კ-ტის 1930 წ. აპრილის 12-ის დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლები)".

„54[2]. 1930-31 და 1931-1932 წლებში დაბეგვრისაგან განთავისუფლდება მთლად პროდუქტიული ოთხფეხი საქონელი კომუნისა, არტელისა და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი იმ ამხანაგობისა, სადაც წესდების თანახმად განსაზოგადოებულია მუშა-საქონელი და ინვენტარი, აგრეთვე განთავისუფლდება დაბეგვრისაგან პროდუქტიული ოთხფეხი საქონელი, რაც ამ კოლექტიური მეურნეობების წევრთა ინდივიდუალურ მფლობელობაშია.

იმავე დროის განმავლობაში ნახევარი გადასახადისაგან განთავისუფლდება მთლად პროდუქტიული ოთხფეხი საქონელი მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი იმ ამხანაგობისა, სადაც მუშა-საქონელი და ინვენტარი განსაზოგადოებული არ არის, აგრეთვე იმავე რაოდენობით განთავისუფლდება გადასახადისაგან პროდუქტიული ოთხფეხი საქონელი, რაც ამ ამხანაგობების წევრთა ინდივიდუალურ მფლობელობაშია.

(ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებ-ის 58[2] მუხლი და სსრკ-ის ცენტრ. აღმასრ. კ-ტის 1930 წ. აპრილის 12-ის დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლები".

II.

დაემატოს აღნიშნულ დადგენილებას 42 მუხლის შენიშვნა, 43 მუხლის მე-2 შენიშვნა, 48[1], 48[2], 50[1], 50[2], 50[3] მუხლები და „ვ[1]" ლიტერი (64[1] და 64[2] მუხლები) შემდეგი შინაარსისა:

42. „**შენიშვნა**. 1930-1931 და 1931-1932 წლებში ოთხფეხი საქონელის შემოსავალი კოლექტიურ მეურნეობებში სრულიად არ დაიბეგრება.

(ერთ. სას.-სამ. გადასახადის დებ-ის 47 მუხლის შენიშვნა)".

43. „**შენიშვნა 2**. განთავისუფლდება გადასახადისაგან მთლად ბრინჯის ის ნათესი ფართობი, რაც 1930-1931 წელს მეტი აღმოჩნდება 1928-1929 წელთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედარებით, თუნდაც ყველა კულტურის ნათესი ფართობი უწყებულ მეურნეობაში საერთოდ არც კი გადიდებულიყოს.

ეს შენიშვნა არ გავრცელდება ბამბის ნათესის რაიონებზე.

(ერთ. სას.-სამ. გადასახადის დებ-ის 48 მუხლის მე-2 შენიშვნა)".

„48[1]. სამებამბეო კომუნას, არტელსა და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელ იმ ამხანაგობას, სადაც წესდების თანახმად განსაზოგადოებულია მუშა-საქონელი და ინვენტარი, ბამბის ნათესის შემოსავლიანობის ნორმა შეუმცირდება ერთი-ორად უწყებული რაიონისათვის დაწესებულ შემოსავლიანობის ნორმასთან შედარებით.

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მაისის 6-ის დადგენილების 1-ლი მუხ. „ა" პუნ.").

„48[2]. კომუნას, არტელს და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელ იმ ამხანაგობას, სადაც წესდების თანახმად განსაზოგადოებულია მუშა-საქონელი და ინვენტარი, კენაფისა და სელის ნათესის შემოსავლიანობის ნორმა შეუმცირდება 30 პროცენტით უწყებული რაიონისათვის დაწესებულ შემოსავლიანობის ნორმასთან შედარებით.

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. აპრილის 23-ის დადგენილების მე-4 მუხ.)".

50[1]. კომუნას, არტელს და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელ იმ ამხანაგობას, სადაც წესდების თანახმად განსაზოგადოებულია მუშა-საქონელი და ინვენტარი, თამბაქოს და წეკოს პლანტაციის შემოსავლიანობის ნორმა შეუმცირდება 30 პროცენტით უწყებული რაიონისათვის დაწესებულ შემოსავლიანობის ნორმასთან შედარებით; ხოლო აგრომინიმუმის, ე. ი. თამბაქოს პლანტაციების მოსავლიანობის გასადიდებლად უმარტივეს ღონისძიებათა განხორციელებისათვის, თამბაქოს პლანტაციის ხვედრ გადასახადს მოაკლდება 20 პროცენტი.

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. აპრილის 23-ის დადგენილების მე-4 მუხ. და 1930 წ. აპრილის 30-ის დადგენილების 1-ლი მუხ.)".

„50[2].-ის მიწის ფართობი, რაზედაც 1930 წ. და 1931 წ. ჩაყრილ იქნება ყვითელი თამბაქოს და წეკოს პლანტაციები და რაც ეკუთვნის კომუნას, არტელს და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელ იმ ამხანაგობას, სადაც წესდების თანახმად განსაზოგადოებულია მუშა-საქონელი და ინვენტარი, განთავისუფლდება გადასახადისაგან: ორი წლით იმ დროიდან, როდესაც თამბაქოს პლანტაცია ჩაიყარა ამოძირკულ ან მელიორირებულ ნაკვეთებზე და ერთი წლით— დანარჩენ ნაკვეთებზე.

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. აპრილის 30-ის დადგენილების მე-2 მუხლის „ე" პუნქტი)".

„50[3]. კომუნას, არტელს და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელ იმ ამხანაგობას, სადაც წესდების თანახმად განსაზოგადოებულია მუშა საქონელი და ინვენტარი, სიმინდისა და მზეუჭვრიტას ნათესის შემოსავლიანობის ნორმა შეუმცირდება ერთი-ორად უწყებული რაიონისათვის დაწესებულ შემოსავლიანობის ნორმასთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. აპრილის 23-ის დადგენილების მე-3 მუხ.)".

ვ[1]. შელავათები მეხილეობისა და მევენახეობის განვითარებისათვის.

„64[1]. ხილის ბაღისა და ვენახისათვის, რაც ეკუთვნის კომუნას, არტელს და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელ იმ ამხანაგობას, სადაც წესდების თანახმად განსაზოგადოებულია მუშა-საქონელი და ინვენტარი, შემოსავლიანობის ნორმა შემცირდება 30 პროცენტით უწყებული რაიონისათვის დაწესებულ შემოსავლიანობის ნორმასთან შედარებით; ხოლო აგრომინიმუმის, ე. ი. ხილის ბაღისა და ვენახის მოსავლიანობის გასადიდებლად უმარტივეს ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხილის ბაღისა და ვენახის ხვედრ გადასახადს მოაკლდება 20 პროცენტი.

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. აპრილის 23-ის დადგენილების მე-4 მუხ. და 1930 წ. აპრილის 30-ის დადგენილების 1 მუხლი)".

„64[2]. განთავისუფლდება გადასახადისაგან შემდეგი ფართობი, რაც ეკუთვნის კომუნას, არტელს და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელ იმ ამხანაგობას, სადაც წესდების თანახმად განსაზოგადოებულია მუშა-საქონელი და ინვენტარი: ა) ახლად ჩაყრილი ვენახის ფართობი და აგრეთვე ახალ ნარგავთა ხეხილის ფართობი—ორი წლით ნაყოფის სხმოიარობის დაწყების შემდეგ; ბ) გაჯეილებული და ჩამატებით რემონტქმნილი ვენახის ფართობი—ორი წლით ნაყოფის სხმოიარობის დაწყების შემდეგ; გ) ჩამატებით და გადამყნობით რემონტქმნილი ბაღების ფართობი—ორი წლის განმავლობაში ნაყოფის სხმოიარობის დაწყების შემდეგ; დ) ახლად ჩაყრილი ხეხილისა და ვაზის სანერგის ფართობი—ოთხის წლით ჩაყრის დღიდან.

(სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. აპრილის 30-ის დადგენილების მე-2 მუხლის „ა"—„გ" პუნქტები)".

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. მაისის 18.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 146 №-ში 1930 წ. ივნისის 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

187. დადგენილება ს. კ. ს.

დამატებითი საცხოვრებელი სივრცის უფლების თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის დეკემბრის 3-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„დამატებითი საცხოვრებელი სივრცის უფლების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის დეკემბრის 3-ის დადგენილების (კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 28) 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტში სიტყვები: „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან“ შეიცვალოს სიტყვებით: „სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან—კომუნალური მეურნეობის განყოფილების ხაზით“, 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტში, იმავე მუხლის შენიშვნაში და მე-2 მუხლის „ა“ პუნქტში სიტყვები: „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი“ შეიცვალოს სიტყვებით: „სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო—კომუნალური მეურნეობის განყოფილების ხაზით“ და 1-ლი მუხლის შენიშვნაში სიტყვები: „იუსტიციის სახალხო კომისარიატთან“ შეიცვალოს სიტყვებით: „რესპუბლიკის პროკურატურასთან“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ.ივნისის 7.
ტფილისი—სასახლე.

---

188. დადგენილება ს. კ. ს.

„1929-30 წელს მოუსავლობისაგან სოიას და კენაფის ნათესების სავალდებულო-საგადანაკვეთო დაზღვევის თაობაზე“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. მარტის 21-ის დადგენილების საქართველოს სსრ-ში განხორციელების წესის შესახებ.

„1929-30 წელს მოუსავლობისაგან სოიას ნათესების სავალდებულო-საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 215) და „1929-30 წელს მოუსავლიანობისაგან კენაფის ნათესების სავალდებულო-საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 217) გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. მარტის 21-ს დადგენილებების შესასრულებლად და ა/კსფსრ-ში ამ დადგენილებების განხორციელების წესის თაობაზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილის 28-ს დადგენილების თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 107)—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1929-30 წელს მოუსავლობისაგან სოიას და კენაფის ნათესების სავალდებულო-საგადანაკვეთო დაზღვევის გადასახადის შეტანის ზღვრულ ვადად საქართველოს სსრ-ში დაწესებულ იქნეს 1930 წ. სექტემბრის 1-ლი.

2. განთავისუფლებულ იქნენ სადამზღვევო გადასახადის შეტანისაგან მთლად ან ნაწილობრივ: მცირეძალოვანი კოლექტიური მეურნეობანი; ის მცირეძალოვანი ინდივიდუალური მეურნეობანი, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან ვადიანი სამსახურის მერიგეთა ან უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურნი; მცირეძალოვანი მეურნეობანი ყოფილი წითელარმიელებისა და წითელი პარტიზანებისა და გარდაცვალებული წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანების ოჯახებისა; მცირეძალოვანი მეურნეობანი გადასახლებულებისა—პირველ წელს მათი გადასახლების შემდეგ—და სხვა უღარიბესი ინდივიდუალური მეურნეობანი.

ამ შეღავათების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს მთლად საქართველოს სსრ-ში ხსენებულ დაზღვევათათვის გამოანგარიშებული გადასახადის თანხის 15 პროცენტს.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული შეღავათების შეფარდების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია 1929-30 საოპერაციო წლის სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შეღავათების შეფარდების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. ივნისის 12.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 147 №-ში 1930 წ ივნისის 27.

---

189. დადგენილება ს. კ. ს.

სპეციალური ტექნიკუმების კურსდამთავრებულ პირთათვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში შესასვლელად შეღავათების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიენიჭოს სპეციალური ტექნიკუმების კურსდამთავრებულ პირებს, რომელთაც თავიანთი სპეციალობის წარმოებაში უმუშავნიათ არა ნაკლებ სამი წლისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება შევიდენ საქართველოს სსრ უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების სათანადო ფაკულტეტებზე მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. ივნისის 18.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 150 №-ში 1930 წ. ივნისის 30.

---

190. დადგენილება ს. კ. ს.

არსენა ოძელაშვილის ძეგლის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება არსენა ოძელაშვილის ძეგლის კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. ივნისის 18.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

არსენა ოძელაშვილის ძეგლის კომიტეტის შესახებ.

1. არსენა ოძელაშვილისათვის სოფ. მცხეთაში ძეგლის დასადგმელად არსდება განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები დაინიშნებიან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

2. არსენა ოძელაშვილის ძეგლის კომიტეტს დაეკისრება:

ა) გამოაცხადოს, საამისოდ არსებული წესების დაცვით, კონკურსი ძეგლის პროექტის შედგენისათვის, დანიშნოს ჟიური და წარადგინოს კონკურსის შედეგი, თავისი დასკვნითურთ, სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) მოაწყოს შეწირულებათა შეკრეფა;

გ) განაგოს ძეგლის დადგმისათვის დანიშნული თანხები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) შეიმუშაოს ძეგლის საამშენებლო სამუშაოთა გეგმა და ხარჯთაღრიცხვა;

ე) დასდოს ყოველგვარი გარიგება, რაც დაკავშირებული იქნება ძეგლის დასადგმელად საწარმობელ სამუშაოებთან;

ვ) აწარმოოს ბანკებში საჭირო საკრედიტო ოპერაციები სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადგენილ ფარგლებში;

ზ) დანიშნოს და დაითხოვოს სამუშაოთა მწარმოებელი, მოსამსახურეები და მუშები;

თ) მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს ძეგლის დასადგმელად წარმოებულ მუშაობას.

3. მე-2 მუხლში აღნიშნულ დავალებათა განსახორციელებლად კომიტეტს უფლება აქვს მოაწყოს, თავისი შეხედულებისამებრ, სპეციალური კომისიები.

4. კომიტეტისათვის ტეხნიკური მოსამსახურეობის გაწევა და ანგარიშწარმოება დაეკისრება სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სათანადო აპარატს.

5. ყოველგვარ გარიგებას კომიტეტის სახელით დასდებს კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე: ფულად დოკუმენტს, თავმჯდომარის ან მისი მოადგილის გარდა, ხელი უნდა მოაწეროს აგრეთვე იმ პირმა, რომელიც პასუხისმგებელია ანგარიშწარმოებისათვის.

6. არსენა ოძელაშვილის ძეგლის კომიტეტი თავისი მოქმედების ანგარიშს პერიოდულად წარუდგენს ხოლმე სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო მისთვის დაკისრებულ საქმის დამთავრებისას წარუდგენს მას საერთო ანგარიშს.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 147 №-ში 1930 წ. ივნისის 27.

---

191. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

სადამზღვევო გადასახადის იძულებით გადახდევინების წესისა და სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ქონების დაზღვევის სფეროში ცნობების შეუტყობინებლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

„სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ქონების სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 4-ის დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 55 №-ი, მუხ. 514), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ქონების სავალდებულო დაზღვევის გადასახადი, რაც სათანადო წესით დადგენილ ვადაზე არ გადაეხადა სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს ან სამომხმარებლო კოოპერაციის დამზღვევ ორგანიზაციებს, ჩაირიცხება ნარჩენად და გადახდევინებულ იქნება უდავო წესით გადასახადთა გადახდევინების დებულებისა და სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების მენარჩენეთა ქონების აწერისა, შეკვრისა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების მიხედვით (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 1-ლი № ი, მუხ. 2).

2. სადამზღვევო გადასახადის ნარჩენს (მუხ. 1) დაერიცხება საურავი ერთი მეათედი პროცენტის რაოდენობით თვითეული ვადაგადაცილებული დღისთვის, ხოლო უკეთუ სადამზღვევო გადასახადის გაღება დაეკისრება კერძო პირს—ერთი მესამედი პროცენტის რაოდენობით თვითეული ვადაგადაცილებული დღისთვის.

საურავი დაერიცხება სრულ მანეთს; ამასთანავე, ორმოცდაათი კაპიკი და მეტი თანხა მიიღება მანეთად, ხოლო ორმოცდაათ კაპიკზე ნაკლები თანხა ანგარიშიდან გამოირიცხება; ერთ კაპიკზე ნაკლები რაოდენობის საურავი იანგარიშება სრულ კაპიკად.

3. ვადის გამოანგარიშების ყველა შემთხვევაში როგორც სადამზღვეო გადასახადის შეტანისათვის, ისე საურავის დარიცხვისათვის, უკეთუ საბოლოო ვადა არასამუშაო დღეს მოდის, ეს დღე ანგარიშში არ მიიღება და ვადის უკანასკნელ დღედ ითვლება პირველი ამის მომდევნო სამუშაო დღე.

4. უკეთუ სადამზღვევო გადასახადს არ შეიტანენ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებანი (მათ შორის კომუნალური), სახელმწიფო დაზღვევის ორგანო,—იმის შემდეგ, რაც მოიხმარს ყოველ ღონისძიებას ნარჩენისა და საურავის მისაღებად და სათანადოდ გააფრთხილებს დაწესებულებათ,—აცნობებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს მთლად იმ საერთო თანხას, რაც ირიცხება ამა თუ იმ ოლქის ან მაზრის დაწესებულებებზე, დაწესებულებათა ნუსხის დართვით; ფინანსთა სახალხო კომისარიატი დაუჭერს გადასახადს საურავითურთ ოლქს თუ მაზრას მისთვის დანიშნული სადოტაციო თანხიდან; ხოლო, უკეთუ დოტაცია არ არსებობს, შეჰკრავს მათ საშემოსავლო თანხებს, რაც სახელმწიფო და კომუნალურ ბანკებში ან ამ ბანკების ადგილობრივ განყოფილებებში (სააგენტოებში) ინახება, და ამ წესით გადაუხდის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს სათანადო თანხებს.

5. უკეთუ იმ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომლის ქონებაც, 1929 წ. სექტემბრის 4-ის კანონის თანახმად, დაზღვეულ უნდა იქნეს სავალდებულო წესით, არ შეატყობინებს საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს ან, სათანადო შემთხვევაში, სამომხმარებლო კოოპერაციის დამზღვევ ორგანიზაციებს, დადგენილ ვადაზე, ამა დაზღვევის სათანადოდ დამტკიცებული წესებით გათვალისწინებულ ცნობებს და განცხადებებს ან წინასწარი შეცნობით შეატყობინებს ცრუ ცნობებს, პასუხს აგებს სადისციპლინო ან სასამართლო წესით, მომქმედ კანონდებულებათა თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. ივნისის 18.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 150 №-ში 1930 წ. ივნისის 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

192. დადგენილება ს. კ. ს.

1930-31 წელს პურეულის დამზადების კამპანიის სასაწყობო სადგომებით და ჭაპანზიდვის ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„1930-31 წელს პურეულის დამზადების კამპანიის სასაწყობო სადგომებით უზრუნველყოფისა და საშემოდგომო გადაზიდვების პერიოდში პურეული ტვირთისა და სხვა საქონლის მსვლელობის საქმეში მოსალოდნელ სიძნელეთა შესასუსტებლად საჭირო ღონისძიებების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 18-ის დადგენილების თანახმად („ზარია ვოსტოკა“-ს 162/2430 №-ი 1930 წ. ივნისის 20-ისა)—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, ამ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარისა და „სოიუზხლებ“-ისა და ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციის წარმომადგენელთა შედგენილობით,—მთავრობის კომისია—პურის შესანახად ვარგისი სასაწყობო სადგომების და აგრეთვე საამისოდ გამოსაყენებელი სხვა სადგომების გამოსარკვევად, აღსანუსხავად და დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის გადასაცემად იმ საფუძვლებზე, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 1-ის დადგენილებით“ 1930-31 წელს პურეულის დამზადების კამპანიის სასაწყობო სადგომებით უზრუნველყოფის შესახებ“ („სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტია“-ს 158/4005 № ი 1930 წ. ივნისის 10-ისა).

მთავრობის აღნიშნული კომისია აარიდებს ამ საქმეს ყოველგვარ დაბრკოლებას, რაც აღიძვრის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული—1930 წ. ივნისის 18 ის დადგენილების 1-ლი კარით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხორციელების დროს და გადასწყვეტს ამ დადგენილების მე-15 მუხლში აღნიშნულ საკითხებს; კომისიას აქვს ამავე დადგენილების მე-16, 17, 18 და 20 მუხლებით განსაზღვრული უფლებანი.

2. მოწყობილ იქნეს წინა მუხლში აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად სათანადო ოლქისა (მაზრისა) და რაიონის ტერიტორიაზე იმავე მუხლში გათვალისწინებული უფლებებით:

ა) საოლქო კომისიები ტფილისისა, კახეთისა და გორის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებთან და სამაზრო კომისია—ახალქალაქის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან აღნიშნული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების ან მათი მოადგილეების თავმჯდომარეობით და ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, „სოიუზხლებ“-ისა და ამიერკავკასიის რკინის გზების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელთა შედგენილობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) იმავე ოლქების და მაზრის იმ რაიონებში, სადაც სწარმოებს პურეულის დამზადება, და იმ პუნქტებში, სადაც თავს იყრის თვალსაჩინო რაოდენობის პურეული ტვირთი, მოეწყოს სარაიონო კომისიები, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების თავმჯდომარეობით და ამა მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა შედგენილობით.

ზემოაღნიშნული საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომისიები უნდა მოეწყონ არა უგვიანეს 1930 წ. ივლისის 1 ისა.

3. წინადადება მიეცეს საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მიიღონ ღონისძიებანი, რათა, ერთი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, შეკეთებულ იქნეს ის გზატკეცილები და ყამირგზები, რომლებიც გამოიყენება პურეული ტვირთის გადასაზიდავად პურის დამზადების მივარდნილ ადგილებიდან რკინის გზის სათანადო სადგურებამდე, რისთვისაც, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან შეთანხმებით, გადასინჯონ გზათა მშენებლობის საფინანსო-საწარმოო გეგმები;

ბ) ხელი შეუწყონ ყოველმხრით პურეულის დამმზადებელ ორგანიზაციებს, რათა პურეული ტვირთის გადაზიდვის საქმე უზრუნველყოფილ იქნეს საამისოდ საჭირო ჭაპანზიდვის ტრანსპორტით, რისთვისაც, უკეთუ საჭირო იქნება, შეუძლიანთ შემოიღონ ფასით ჭაპანზიდვის შრომის ბეგარა, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 11-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 29 №-ი, მუხ. 284).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. ივნისის 22.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

მიმდინარე 1930 წელს „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“, როგორც საერთო წესი, ამიერკავკასიის ფარგლებში იგზავნება საბარათო (უმისამართო) სისტემით: „კანონთა კრებულის“ ნომრები ტფილისის საოლქო ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მეშვეობით ეგზავნებათ ადგილობრივ საფოსტო დაწესებულებათ, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საექსპედიციო ბარათები; ამ ბარათების მიხედვით „კანონთა კრებული“ ურიგდება ხელისმომწერლებს.

ყოველი შემთხვევა, როდესაც „კანონთა კრებული“ სწორედ არ იქნება მოწვეული, უნეა ეცნობოს ჯერ ადგილობრივ საფოსტო დაწესებულებას, ხოლო, თუ განცხადება არ იქნება დაკმაყოფილებული,—„კანონთა კრებულის“ გამომცემლობას, მისამართით: ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.

მთავლ. № 1.198. ტირაჟი 1.100.